**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

## „ივერია"

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 5 თებერვალს

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ

ქართულ დრამატ. საზ. არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

პირველად:

**ყაჩაღები**

დრამა შილერისა 5 მოქმედ. თარგ. ნ. ავალიშვილის მიერ

ფრანც. მორის როლს შეასრულებს—ალექსი მესხიშვილი, კარლოსისას—ვალ. გუნია.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი სწორედ 7½ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ქართველთა ამხანაგობის მაღაზიას გარდაეცა

**მესამე და უკანასკნელი ათასი**

**კედლის ქართული კალენდარი 1892 წ.**

ფასი 40 კ.

(5—0—1)

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ 18 მანათი ბ-ნ მალაქია ბოლქვაძისაგან ქუთაისის ერთ-ერთს სასწავლებელში შეკრებილი ნ. ბარათაშვილის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 409 მ. 29 კ., ამით შესდგა 427 მან. 29 კ.

*** ამ თთვის პირველიდგან ქართულის ენის მასწავლებლად ტფილისის რეალურს სასწავლებელში ბ-ნი მოსე ჯანაშვილი დაინიშნა.

*** ამ ხანებში რუმინიაში გარდაცვალებულმა თეოდორე სოლომონიანმა 60,600 ფრანკი უანდერძა იქაურ სომეხთა საქველ-მოქმედო დაწესებულებათ.

*** დამშეულთა სასარგებლოდ მეორე ლატარიის ბილეთები რკინის გზის სადგურებზედაც გაიყიდება.

*** ხუმელაგა (კავკავის მაზრა): ხუმელაგაში ოცდა-ხუთს იანვარს, შუადღის შემდეგ პირველი საათი იყო, მზე ნაზად იყურებოდა და გაზაფხულის სუნი მოეფინა არე-მარეს; ხალხი გამოსულიყო და ყველა თავისს უბანში ჯგუფად მყუდროზედ მზის პირდაპირ ჩამსხდარიყვნენ. ამ დროს, ვნახოთ, ზარებს რეკვა დაუწყეს. ზარების ხმაზედ ხალხი გაექანა სოფლის ბოლოსკენ. აღმოჩნდა, რომ ქართველ ვლადიმერ მარკოზაშვილის სახლს ცეცხლი გასჩენოდა. იმდენი ხალხი დაედო და მარტო ერთს ოთახს დაეწვა ყავარი, დანარჩენი ყველა გადაარჩინეს. ვლადიმერ მარკოზაშვილი მღვდლის შვილია, მამა მისი ქიზიყიდგან მოსულა ოსებში მღვდლად და იმის გარდაცვალების შემდეგ, მისი ცოლ-შვილიც ოსებში დარჩენილა. რაკი ნახეს ოსებმა, რომ ძლიერ მწუხარებდნენ ამ უბედურების გამო, მაშინვე მოილაპარაკეს ერთმანეთში და გადასწყვიტეს: ვლადიმერ მარკოზაშვილი ქართველია, ჩვენ შორის სცხოვრობს, ჩვენი სტუმარია, ამათი მწუხარება ჩვენი სიმწუხარებააო და, თუ არ შევეწიეთ, ჩვენი სირცხვილი იქნებაო. მოაგროვეს ერთმანეთში საჭირო მასალა და ორიოდ დღის განმავლობაში დაზარალებულის ოთახს ახალი ყავარი გადააფარეს.

*** ბარის ოსეთი: თითქმის კარგა ხანია, ბარის ოსებში კაცის კვლა არ მომხდარა ავაზაკებისაგან და აი ეხლა ორის ჩერქეზის მოკვლამა და ორის დაჭრამ მთელი ბარის ოსების მხარე ააჩოჩქოლა და ფეხზედ დააყენა. ოცდასამს იანვარისას კავკავიდგან ჩერქეზები მიდიოდნენ თურმე თავიანთს სახლში. სოფ. ყაყადურს რომ გასცილებიან, დაღამებიათ, ყაყადურსა და ელხოტას შუა გზაში დახვედრიათ სამი ცხენოსანი ავაზაკი და დაუპირებიათ ხარების წართმევა. ჩერქეზებს არ დაუნებებიათ ხარები და ამიტომ ქურდებს ორი ჩერქეზი მოუკლავთ და მეორეებიც მძიმედ დაუჭრიათ. დაჭრილებმა სთქვეს, ავაზაკები ოსები იყვნენო; ერთს მოკლულს ჩერქეზს ერთის ავაზაკისათვის, როგორც დაჭრილებმა სთქვეს, მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი მოუკვნეტია; ოლქის უფროსის ბძანებით, ოსების სოფლებში ყრილობას ახდენენ და, ვისაც-კი ცხენზედ ჯდომა შეუძლიან, ყველას სინჯავენ, რომ ავაზაკები აღმოაჩინონ.

*** კავკავი: წარსულ წლის დეკემბრის თთვეში კავკავში მოჰკლეს ღამე ღამის ყარაული ყაზახი. ავაზაკების კვალი მიიტანეს სოფ. გიზლისკენ, კავკავზედ შვიდის ვერსის მოშორებით. ამის გამო მეორე დღესვე ბ-ნი ოლქის უფროსი თითონ ბძანდებოდა გიზელში, შეჰყარა სოფელი, ამოარჩია თავი კაცები და გამოუცხადა: თუ არ აღმოაჩენთ ყაზახის მკვლელს, იმის მაგიერად თქვენ დაგსჯითო. თავმა კაცებმა ოლქის უფროსს პირობა მისცეს და ვადა დაუდეს, რომ დამნაშავეს ვიპოვნითო, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს. ამის გამო გიზლელი ხუთი კაცი—თავი კაცები ბ-ნმა ოლქის უფროსმა დასასჯელად ვედენოში გაგზავნა უვადოდ; როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, ამას გარდა, გიზელის სოფელს ასი თუმანიც უნდა გადაახდევინონ.

*** სოფ. ბაკურციხე (სიღნაღის მაზრა): გვიდგა სავსე ქვევრები და შევცქერით. აქამდე მყიდველი არავინ გამოგვჩენია და დავიღუპებით, თუ ამოდენს ღვინის მოსავალს ვაჭარი არ გამოუჩნდა.

ჩვენს სოფელში ერთი ვილაც კერძო მეაფთიაქე გამოჩნდა, რომელსაც სიღნაღის აფთიაქიდგან ჩამოაქვს წამლები და აქ მამა-სისხლადა ჰყიდის. წარმოიდგინეთ, რომ ერთს გრანს ქინაქინას ორ შაურ ნაკლებად არ აძლევს. ასევე ჰყიდის თითო ჩაის კოვზს სასაქმებელს ზეთსაც.

ჩვენში სასწავლებელი უკვე დააარსეს, მაგრამ აქამდე მოუწყობელ-მოუმართავია. შეშაც-კი არა აქვთ, რომ სახლი დაათბონ. ორი თთვეა მასწავლებელს ჯამაგირი არ მიუღია. თუმცა გასწერეს ეს ფული, მაგრამ მოხელეებს სხვა გარდასახადთან ერთად შეუწერიათ ეს ფული, სოფელს მეტად ბევრი სჩვენებია და ერთს ხანს გაიძახოდნენ, რომ არ გვინდა სასწავლებელი, თუ მაგოდენა ხარჯს მოგვთხოვსო. ბოლოს შეიტყეს, რომ სასწავლებლის ხარჯი სულ 340 მან. იყო და დაშოშმინდნენ.

ამ ორის თთვის წინად ჩვენში ახალი მამასახლისი ამოირჩიეს, მაგრამ ქურდობამ თუ არ იმატა, არ იკლო. წარმოიდგინეთ, თვით მამასახლისაც მოჰპარეს ამას წინად მარნიდგან ღვინო.

აქეთკენ თოვლი ცოტაა, მაგრამ სიცივეები-კი დიდი დაიჭირა.

*** როგორც ისმის, ოსმალეთის მთავრობას თავის თანხმობა გამოუცხადებია, რომ სომეხთა ეპარქიებმა თითო დელეგატი გაჰგზავნონ კათალიკოსის ამოსარჩევად. („ნოვ. ობოზ.").

*** ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ტფილისში გარდაიცვალა იაკობ სოლომონის ძე აბესალომოვი, რომელმაც თავისი სიმდიდრე ღარიბს მოსწავლეებს უანდერძა. აბესალომოვის სიკვდილის შემდეგ ნათესავებმა შეიტყეს, რომ ბევრი ფული აკლია იმისს ქონებასაო. იცოდნენ თურმე გარდაცვალებულის ჩვეულება, რომ საცა მოხვდებოდა, ფულს იქ ინახავდა. დაიწყეს სახლში ძებნა და პარასკევს, 31 იანვარს აბესალომოვის მოსამსახურემ დევდორიანმა ღუმელის ბუხარში იპოვნა ქაღალდში გახვეული 22 ობლიგაცია ქალაქის 6% სესხისა, ღირებული თითო 1,000 მან., 4 ბილეთი ნავთის მწარმოებელის საზოგადოებისა, ღირებული თითო 125 მან., ორი მომგებიანი ბილეთი და ორიც სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ბილეთი—სულ 22,900 მანათი.

## ფელეტონი

### სიმონა

(მოთხრობა გლეხ-კაცობის ცხოვრებისა)

### XV

(შემდეგი. იხ. „ივერია" № 24)

როცა სიმონას პატიმრობის ვადა გაუთავდა და შინ დაბრუნდა, დედამ მიუტირა დარიას დარჩობა. მაგრამ სიმონას ერთი ცვარი ცრემლიც არ გადმოუგდია—ყოველივე საპატიმროშივე შეეტყო ერთის თავის მეზობლისაგან. სიმონას პატარა გაზრდილა ერთს „მადლიანს ქალს" ჰყავდა გასაზარდელად აყვანილი. სიმონამ არც ამ ჯერ მისგან უნახავ შვილის ნახვა მოიწადინა. დედის სიტყვებზე „ნახე, შვილო, შენი ვაჟი, რა ანგელოზია"-ო, მკვახედ უპასუხა:—„დამანებე თავი, რა ნახვა უნდა"-ო. შინ მოსვლის მეორე დღესვე სიმონა წავიდა „საქირაოზე", სადაც რამდენსამე თთვეს დარჩა. როცა შინ დაბრუნდა, მოიტანა ნაყიდი რევოლვერი, ხანჯალი და „ბერდანის" თოფი. დედას ძლიერ გაუკვირდა ამ ნაირი ახირებული საქციელი თავის შვილისა. „გადასახადისთვის აგერ მოგვთხრიან, რა დროის ამაების ყიდვა იყო"-ო ფიქრობდა ის. რადგანაც სიმონას თოფ-იარაღთან ტანისამოსიც ეყიდა და გამოწყობილი დადიოდა, მეზობლებში ხმა დაჰყარეს,—„სიმონა ისე გამოჩაქურებულა, ახლავე ცოლს ითხოვს"-ო. მხოლოდ ქეთევანი-კი, როცა ყურადღება კარგად მიაქცია შვილის საქციელს, თავ-განწირულების შიშმა შეიპყრო: „რა ვქნა, რა მიწაში ჩავიდე, ამდონი ხანია შინ არის და ერთი საქმეზე ხელი არ მოუყვია! წავა, იმ მის ნაყიდ სიმინდს მოაფქვევინებს, მეიტანს და დაგდებს. თუ გამოუცხობ, შეჭამს, თუ არა და იმიზაც არაფერს იტყვის. ერთი ღიმი მის პირზე არ დამინახავს. მუდამ ისე აქ წარბები მოყრილი, რომ ენის თქმაი ვერ გამიბედავს. მინდა ვუთხრა: ხელი გაანძრიე, ოჯახს ნუ დააქცევ, შვილი გეზდება, შენც ჯერ მოწიფული ხარ, კიდევ მოესრობი ოჯახის მოწყობას-მეთქი; მარა ვერ ვუბედავ. ღამე ძილიც რომ მოსვენებული არა აქ! ათას რაცხას-კი ბოდავს—აი თვალი გამოსთხარა, აი დაკლეს, აი მოკლეს. გუშინღამ ცხონებული ჩემი რძლის სახელიც გაურია. ხან იმ ჩვენი ოჯახის შემჭმელების სახელებსაც იძახის ძილში—ტიტიკო, დავით, ლევან და სხვებს. მეშინია ჰკუაზე არ შეირყას! რა ვიცი, გასაკვირალია იმდონი ფიქრით ადამიანს ტვინი ეერიოს თუ! ხანდახან ისე ცოფიანსავით მიექცევა სახე და თვალები, რომ შიშით თვალი მიბნელდება. რაც დღე მუა, უფრო და უფრო ხმება, ძვალტყავათ გადიქცა! რა ვქნა უბედურმა, რომ შემეძლოს, სადმე მარჩიელთან წევიდოდი. მარა რომ აღარ შემიძლია!.. ახლა კიდევ მე ამომიჩემა და არ მაყენებს—წადი სენაკზე და წადიო. რას მერჩის, რამ შეაძულა ჩემი დანახვა! ღმერთმა იცის, სანამ შემეძლო, ჩემი ქალობა და ჯანი იმის გამოზდას გადავატანე! ახლა სახლიდგან მაგდებს, სად უნდა წევიდე აი უთვალ-ყურო სნეული! ღმერთო, შენ მიუზღე, ვინც ჩვენი ოჯახი ასე მოაქცია, ღმერთო ჰკითხე დავითს!"... ქეთევანი აქ მოჰყვებოდა ტირილს.

მოაწია ოცდა-სამმა აპრილმა—გიორგობამ. დავით დროიძისას დიდს მზადებაში იყვნენ, რადგანაც ტიტიკომ ორი თავისი ამხანაგი აფიცერი მოიყვანა სტუმრად. კარგი დარი იდგა და დიდს ხალხსაც მოელოდდნენ წაბლისერლები „ლამისთევაში". როცა მოსაღამოვდა, სიმონამ გამოიღო თოფი მხარზე და გასწია ეკკლესიისკენ; დღეს უნდა აესრულებინა, რაც დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა,—უნდა მოეკლა ტიტიკო და ერთიც კიდევ დავითის რომელიმე ვაჟი. „ერთის სიკვტილი ვერ მოარჩენს ჩემს გულს"-ო, ამბობდა გულში სიმონა. როცა ცოტა გაიარა, იფიქრა: „იქნება რომ თოფიანს დამინახვენ; იქნება ეჭვი აიღონ და ველარ მოვახერხო. ჯობია, გზაში ჩავჯდები, სწორედ იქინეი, სადაც ჩემი დარია ისე გამიუპატიურეს და გამოასალმეს სიცოცხლეს. მაცა, ჩემო დარიკო, გადვუხთი შენს მაწვალებელს! გუშინღამ სიზმარში ვნახე დარიკო, არ მეკარებოდა, მცხვენია, გაუპატიმრებული ვარო. რა გაუპატიურებელი, მისი ბრალი იყო თუ! ძალით დეიჭირეს და აწვალეს! მაცალონ გადვუხთი!" ამ ფიქრით მიაღწია სიმონამ იქ, სადაც გზას ტყე აკრავს, გადაიარა გზის გადაღმა და დაიმალა ტყეში. კარგა რომ მოსაღამოვდა, დაიწყო და გაუწყვეტელად მიდიოდა ხალხი ეკკლესიისკენ. მხოლოდ დავით დროიძე და მისი ჯალაბი-კი ჯერ არსად სჩანდა. უკანასკნელ გამოჩნდა დავითიც, მაგრამ, გარდა

სა. ეს ამბავი აბესალომოვის ძმამ მაშინვე ქალაქის მოურავს შეატყობინა. („ნოვ. ობოზ.“).

⁂ თებერვლის პირველს რკინის გზაზე მომუშავე ახალ-სენაკის მაზრის მცხოვრებელთ: სამსონ ქილაიამ, ანტონ პირაძემ და ალექსანდრე ალავიძემ პოლიციაში გამოაცხადეს, რომ იანვრის უკანასკნელს რიცხვებში სხვა-და-სხვა დროს მოგვპარეს ვერცხლით მოჭედილი სამი ხანჯალი და ქამარი, სამი ჩოხა ვერცხლის მასრებით, ამდენივე ახალუხი, ორი ყაბალახი და სხვა წვრილმანი ნივთეულობა, სულ 350 მან. ღირებულიო. დამნაშავენი არიან სოფ. ბაზილეთის მცხოვრებელი იაგორ ულენტი სოფ. ცონას მცხოვრებელი, მიხეილ კერესელიძე და სოფ. სახხეთის მცხოვრებელი დანიელ ყიფიანი, რომელნიც შეიპყრეს. დაკარგი ნივთეული ნახევრამდე ელიზბარ ქჩიავას ლუდხანასა და თვით დამნაშავეთა სადგურში იპოვნეს.

⁂ ამავე დღეს სასულიერო სემინარიის მახლობლად ქვრივს სოფიო მეძევიისას ჯიბიდგან ამოაცალეს ტფილისის საკომერციო ბანკის ბილეთი № 18959 სულ 900 მანეთისა და ფულად 46 მან. და 10 კ.

⁂ 2 თებერვალს მიხეილ შახპარუნოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ წუხელ დუქანი გამიტეხეს და 400 მან. სავაჭრო საქონელი და ფულად 28 მან. მომპარესო. დამნაშავენი არიან სოფ. მლეთის მცხოვრებელი პავლე ნალჩენკო და სოფ. ახალ-ივანოვკას მცხოვრებელი სტეფან ტრუშჩელევი, მჭედელი, რომელნიც შეიპყრეს და ქურდობაშიაც გამოტყდნენ.

—

ჩვენ გთხოვენ, მივაქციოთ ქველ-მოქმედთა ყურადღება დიდად გაჭირვებულს მდგომარეობას ერთის ოჯახისა, რომელსაც აღარავითარი სახსარი აღარ მოეპოვება საცხოვრებლად.
ადრესი: ჭავჭავაძის ქუჩიდამ მესამე მთის ქუჩა, უსახელო ვიწრო ქუჩაზე, სახლი № 47.

## გაკვრით

(წერილი გურიიდამ)

ერთმა გურულმა შესჩივლა მეორეს:

„გამჩენმა ღმერთმა შენი მტერი და ორგული, მავნე და მაწყინარიც ნუ შეაწუხოს და ნუ „შეაზაროს“ ისე, როგორც ჩვენ შეგვაწუხა და „შეგვაზარა“ ყაჩაღების წინაამდეგ მიღებულმა ღონის ძიებამ. რას ჰქვიან ტკბილი ძილი და მოსვენება, — დღე და ღამე გაერთებული გვაქვს. გურია დღეს ბრძოლის ველია; დიდ-ძალს ჯარს აუღია ხელში თოფ-იარაღი უხილავს და უჩინარს მტერთან — ფილოქსერასთან სახჩუბრად. ყუმბარები და ზარბაზნები გვაკლია, სხვა არაფერი.

„ავი კაცები სად არ არის, რომელ ქვეყნის კუთხეს დამისახელებ, რომ ავკაცობა არა ხდებოდეს. სანამ ქვეყნიერობა იქნება, ავი კაცებიც სულ მუდამ იქნებიან; ცხოვრება უავკაცებოდ წარმოუდგენელია. ეს ერთი და მეორე, მე როგორც გამიგონია და ვიცი, არის კავკასიაში ისეთი მაზრები, სადაც ოზურგეთის მაზრაზე მომეტებული საზიზღარი, მხეცური კაცის-კვლა, ძარცვა-გლეჯა და ბოროტ-მოქმედება ხდება, მაგრამ ჩვენ, გურულებს, რაღაც შავი დღე გვასვია; სადაც ადგილია, ისე ვართ მოხსენებული, ვითომც ჩვენსავით ზნეობით დაცემული და დაქვეითებული ხალხი კავკასიაში არ მოიძებნებოდეს. ჩემის ფიქრით, ჩვენს ცოდვაში წილი უძევთ კორესპონდენტებსაც, რადგან არაფერს ავკაცობას არა ჰმალავენ, ზნეობის... სიდუხჭირეს ააშკარავებენ, ამხელენ გაზეთის საშუალებით და ქვეყანას ატყობინებენ ჩვენს სიავეს. ამით სახელი უტყდება გურიას. უფრო იმას ვფიქრობ, რომ ვინმე ჩვენი ცოდვით „სავსე“, იუდას თანაზიარი, „ქრისტეს ფეხის მტკვეელი“ გვასმენს, „მითომოთობს“, სადაც ჯერ არს, ასეთებია გურულები, ისეთები, თუ მკაცრად არ მოეპყარით, მათი მორჯულება არ იქნებაო.

„ახლა ისეთი ამბავია, რომ გაგძარცვონ არ უნდა გაამჟღავნო. რას მოიგებ, რომ იტყვი: იმდენს გათრევენ და გაღოღებენ, რომ „ფეხის გულში ტყავი გამოგძვრება“. შენც შეტყობილი გექნება, რომ „ეგზეკუციის“ ჩამოყენებას გვიპირობენ, ამასთანავე ერთმა სანდო კაცმა მითხრა: ადვილი შესაძლებელია გურიაში მალე შიშიანობის წესები შემოიღონ“-ო.

მეორე გურულმა უპასუხა:

„შენ იმას მართალს ამბობ, რომ არის კავკასიაში ისეთი მაზრები, მაგალითად, განჯის გუბერნიაში და სხვაგანაც, სადაც შემაძრწუნებელი და გულის შემზარავი ბოროტ-მოქმედება ძალიან ხშირია, მაგრამ საზოგადოდ გურულებს უფრო გვიწყრებიან, გვიჯავრდებიან და მაგრად გვკიდებენ ხელს. რადა, რა მიზეზია? ეს საქმე მე ასე მეყურება: შედარებით რომ ვსთქვათ, გურია, ცოტად თუ ბევრად, განათლებულ მხარედ მიაჩნიათ, უფრო წესიერება და რიგიანობა მოგვეთხოვება; ჩვენზე ნაკლებ შეგნებულს ხალხს რომ ეპატიება დანაშაულობა, ის ჩვენ არ გვეპატიება, შენც იცი, გურული ხალხი თავმოყვარეა: „ერთიცახე“ შეურაცყოფა რომ მიაყენო, ვერ მოითმენს, აბედვით აენთება, ბრაზი მოერევა. ავ-კაცობა ქვეყნის წახდენად და გაფუჭებად მიაჩნიათ, გული ეწვით, ეშხამვით, ეწამლებათ და „ცეცხლი რომ დაუტრიალდებათ გულში“, ალიმაღლებენ ხმას, ჰყვირიან, ყველას შესჩივიან: „ვინ ხარ ქრისტიანი,, მოგვეხმარე, გამწარდა სიცოცხლე, ან გადაგვასახლე და ან დაგვიფარე ავკაცობისაგან, აუარებელს თხოვნებს გზავნიან მთავრობასთან. ცოდვებისა და ჰქრის მალვა კეთილ საქმედ არ არის აღიარებული და ვერც გურულებს დავძრახავთ ამისათვის მით უმეტეს, რომ ბოროტის განზრახვით არ სჩადიან ამას.

იმისი-კი რა მოგახსენო, თუ ყოველ ამის გამო უმრავლესობა — მშრომელი, პატიოსანი ხალხი იყვლიფება, ლატაკდება, ტყავი სძვრება, უკან-დაუკან მიდის ზნეობრივად და ნივთიერად. არა თუ უბრალო, ჩვეულებრივ სიკვდილის შვილთ, დიდებულ, გამოჩენილ, სახელოვან მოღვაწეთაც მოსვლიათ ისე, რომ კეთილისა და სარგებლობის მოტანა სდომებიან ერისათვის და სარგებლობის მაგიერ ზარალი-კი მოუტანიათ.

## წერილი ბათუმიდამ

(1 თებერვალი)

დღეს, 1-ს თებერვალს აქ ქართულის სცენის მოყვარულთ უნდა წარმოადგინონ ბ-ნ ალ. აბაზაძის მიერ ნათარგმნი სამ-მოქმედებიანი კომედია „ალიაქოთი კეთილშობილს ოჯახში“ და ვოდევილი „ბნელ ოთახში“. შემოსავალი დანიშნულია „ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან“ ქობულეთში გასამართავ სკოლისათვის. ეჭვი არა გვაქვს, რომ წარმოდგენა მწყობრად ჩაივლის და ქობულეთის მომავალ სკოლის თანხას ცოტა რამ წვლილი კიდევ შეემატება.

საჭიროდ ვრაცხთ, ორიოდე სიტყვა ვუძღვნათ იმ — უკაცრაული პასუხია — „არტისთა დასს“, ანუ. როგორც თითონ ირქმევენ, „ტრუპას“, რომელიც აგერა კაი ხანია მართავს წარმოდგენებს და რომლის წრესგადასული ლვაწლი აქამდისაც უნდა დაფასებულიყო.

რაღა თქმა უნდა, ამ „დასს“ არაფერი საერთო არა აქვს სცენის იმ მოყვარულებთან, რომელნიც ზემოდ მოვიხსენიეთ.

ჩვენდა საუბედუროდ, ერთი ისეთი კეთილი საქმე არაა, რომ თან რამე ან ვინმე მჭამელივით არ აეკვიატოს, არ ისარგებლოს სხვისის სახელით თავის ბინძურ საწადელის ასასრულებლად და ამით სახელი არ გაუტეხოს იმას, ვისაც და რასაც ამოფარებია ზურგს უკან.

სწორედ ასევე აკვიტებია ქართულს სცენას ვიღაც ვაჟბატონი და იმის ამქრის დასიც, რომელიც ვითომც ქართულს თეატრს ემსახურება, ნამდვილ-კი ხელს ითბობს და გაუფრთხილებელის თავხედობით აძულებს საზოგადოებას თეატრისა და არტისტის სახელს.

ძნელად იპოვით სხვა ქალაქს, რომელიც ბათუმივით უხვი და ხელგაშლილი იყოს ყოველს სამადლო საქმეში. აქ სცხოვრობს ქართველი, სომეხი, რუსი, ბერძენი, ებრაელი და სხვა მრავალი. ყველას აქვს რამე თავისი სამადლო და ხელ-მოსამართი დაწესებულება, მაგალითად, სკოლა. ყველა ამისთანა დაწესებულება სამადლოდ გამართულის კონცერტით, ლატარიათი და წარმოდგენით ინახავს თავს. ერთის დაწესებულების თანამგრძნობელი მეორე დაწესებულების თანამგრძნობელს უზიარის ბილეთს და ეხვეწება შველას: სომეხი, მაგალითად, რუსს იწვევს ხშირად წარმოდგენაზე, სადაც იმას ინჩიც არ ესმის და ქართველი ბერძენს, რომელიც არა თუ ქართულს, ჩიქორთულსაც ძლივს ახერხებს. მაგრამ მადლისა და ხათრისათვის ერთი მეორეს კეთილშობილურად აწვდის ხელს. ამ გრძნობას ფაქიზად და კრძალვით უნდა მოკიდება. ჩვენდა სამწუხაროდ, ახლა ზემოხსენებულ არა-მკითხე არტისტთა წყალობით მადლიანს ქართველს ვერავისთვის ველარ მიუმართავს, რადგან ილაჯი წაიღო თავისის უზნეო მათხოვრობით ამ ვითომდა არტისტთა „ტრუპამ“ და გასაგონადაც ყველას მოაძულა ქართულის თეატრის სახელი. რა უფლება, რა დამსახურება მიუძღვით, ან საზოგადო, ან არტისტიული, ამ ვაჟბატონებს, რომ ყველას ხარჯს აწერენ და ბილეთს აჩეჩებენ ხელში? ჩვენ გვესმის ხვეწნა და ბილეთების დარიგება, ისიც დიდის სიფრთხილით და მორიდებით, როცა საქმე სამადლო და საზოგადო საგანს შეეხება.

მაგრამ, როცა ვიღაც ყოვლად უნიჭოებსა და უსაქმურებს ხელობად გადუქცევიათ მათხოვრობა თავისდა სასარგებლოდ დ ამისათვის წინდაუხედავის ხელით ჩასჭიდებიან ისეთს წმინდა საგანს, როგორიც ჩვენს დროში საერო თეატრია, ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, ეს დიდ გახრწნილებად მიგვაჩნია. წარმოიდგინეთ, ვიღაც ბიჭბუჭები, რომელთაც ჯერ არაფრით არ დაუმტკიცებიათ არც ნიჭი, არც სცენის მცირეოდენი ცოდნა და არც განვითარების ნატამალი, — არტისტობას იჩემებენ, აფიშებში უშველებელის ასოებით ბეჭდავენ თავისს სახელს, თავისის და ხან, დაუკითხველად, სხვისის სახელითაც (ვინც უფრო პატივცემულია, იმის სახელით) არიგებენ ბილეთებს, მართავენ აბონიმენტს, კისრულობენ „სამშობლოს“ წარმოდგენას, აღარაფერს აღარ ერიდებიან, გადადიან სცენაზე მალაყებს და ლამის ტაკი-მასხარობად და ცირკად აქციონ პატიოსანი ხელოვნება. საჭიროა, ბოლო მოეღოს ამათს საქციელს, მით უფრო, რომ, როგორც მოგახსენეთ, ნამდვილ სამადლო საქმისათვის ვეღარ მოგვიკიდნია ხელი.

აი, ახლაც, ამ ვაჟბატონებმა ბევრი უკადრისი ღონე იხმარეს, რომ ჩაეფუშათ ზემოხსენებული სამადლო წარმოდგენა, — გაკრულ აფიშების ქურდულად აგლეჯიდამ მოკიდებული დასმენამდის, საცა ჯერ არს, რომ წარმოსადგენი პიესა უცენზურო პიესააო...

გრ. ვოლსკი

## წერილი ქუთაისიდამ

ამას წინად გაცნობეთ შინაარსი იმ დეპეშისა, რომელიც ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობამ გაუგზავნა ბ-ნს ფინანსთა მინისტრს იმის შესახებ, რომ ქუთაისში ვაჭრობა მეტად შეფერხებული და შეხუთულია და რომ საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრნი დიდს განსაცდელში არიან ჩაცვივნულნი სიმინდის საზღვარ გარედ გატანის აკრძალვის გამოვო. ჩვენ მა-

---

უფროსის ვაჟისა და ქალებისა, შვილები არ ახლდნენ, რადგანაც იმ დღეს დამთვრალიყვნენ და ველარ შეეძლოთ ეკკლესიაზე წასვლა. „დავითს არ მოვკლავ, ეგდოს, გამწარდეს შვილების სიკვდილით, ეს უკეთესი სასჯელი იქნება.“ სთქვა სიმონმა თავისთვის. „დღეს არ გამოიარეს, ხვალ გამოიარს. არ გამოიარს, შინ მიუხთები“-ო, სთქვა თავისს გულში და წამოწვა ერთის ხის ძირში.

მშვენიერი ღამე იყო. ხალხში რწმუნებაა, რომ გიორგობას ქარებს ბრძოლა აქვთო; რომელიც მოერევა სხვებს, იმ წელს ის ქარი იქროლებსო. მაგრამ იმ ღამეს სიოც-კი არ დაძრულა. მხოლოდ ალიონზე, თითქო ქვეყანამ ამოისუნთქაო, ერთი გაიძრა ხის წვერები და ისევ დადუმდა. სიმონას მთელი ღამე არ სძინებია, ხან ადგებოდა, ხან დაჯდებოდა, ხან დაწვებოდა. გათენდა, მაგრამ ისეთი სიცოცხლიანი, საამური დილა იყო, რომ გული ნეტარებას ჰგრძნობდა.

წაბლისერი მეტად ლამაზი და შემკობილი მწვანე სოფელია. სიმონას ერთს დროს ძლიერ უყვარდა თავისი სოფელი, სხვა სოფელში დიდს ხანს გაძლება არ შეეძლო, მაგრამ ეხლაკი მისს თვალში ფასი აღარ ედო არც ამ მშვენიერს დილას და არც მისს ლამაზს სამშობლო სოფელს. ის ეხლა არე-მარეს აღარ უმზერდა, მისი თვალი გზისკენ იყო მიპყრობილი, იმ გზისკენ, სადაც ტიტიკოს უნდა გაევლო. მხოლოდ ერთხელ გადახედა სიმონამ სოფელს და სთქვა „რა გიშავდა, დავით, ამ ღვთის გაჩენილს ქვეყანაში მეც მეცხოვრა და შენც! ორივე დევეტევოდით. ჩემი გასრესა რომ მოინდომე, არ იცოდი, მეც სამაგიეროდ გადაგიხდიდი!“ ეხლა მოაგონდა სიმონას ერთის პატიმარის ნათქვამი. სიმონამ ჰკითხა: — „სულის წაწყმედის არ გეშინიან, ადამიანს რომ ჰკლავ“-ო; პატიმრმა თურმე უპასუხა:

— „ჩემთვის ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გადააქციეს და ჯოჯოხეთში სულზე არავინ ფიქრობს“-ო. „დიაღ, დავითმა ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გადამიქცია. დავითი და მისი შვილები ჩემზე გამოცდილებიც არიან, ნასტავლიც არიან, იგინი, არ უფთხილდებიან სულს და მე რა ვარ, რომ მოვუფთხილდე! ჩემთვის არც სტავლა მოუცია ვინმეს და არცა რაი! ერთი მუშა კაცი ვიყავი, გასაჭყლეტათ მომინდომეს, თავზე ხელი ამაღებიეს და ეს არის ნახონ, თუ კაია თავზე ხელ-აღებული კაცი!“ ელაპარაკებოდა სიმონა თავისს თავს.

მზემ წამოიწია. გაისმა წაბლიერში ზარის ხმა, სიმონას აქ უფრო მოუსვენრობა დაეტყო: ტუჩებს იკვნეტავდა, ცხვირის ნესტოები ებერებოდა, თოფს მაგრა უჭერდა ხელებს, ხალხი გაუწყვეტლად მიდიოდა ეკკლესიისკენ. ცოტა ხანს შემდეგ გაისმა მათრახის გატლაშუნება. ტიტიკო მოათამაშებდა თავისს ოქროსფერს ბედაურს. ყველაზე წინ ის მოდიოდა, ხანდახან მობრუნდებოდა ძმებისა და რძლებისკენ. ერთი ლამაზი, კოპწია რძალი და ტიტიკო ძლიერ საეჭვო თვალით უყურებდნენ ერთმანეთს, — მგონია, ნახშირ-ჭმული იყვნენ, როგორც ამბობენ ასეთს შემთხვევაში. დავითი იჯდა ერთ მსუქანს ცხენზე და ისეთი მხიარული სახე ჰქონდა, რომ იტყოდით: ცისა და ქვეყნის ნეტარება ამის ხელთ არისო. დავითი რაღაცაზე ხელების ქნევით ებაასებოდა თავისს სტუმარს აფიცრებს. სიმონა გამოძვრა ხეებში, მოვიდა გზის პირას და თოფ-მომართული ამოეფარა ერთს ხეს. ტიტიკომ შეაჩერა ერთს ადგილას ცხენი, დაუძახა თავისს ძმას ლევანს და უთხრა:

— აი აქ იყო. ე მანდ რომ მოაწია, დათომ მოჰხვია ხელი და გადაიტანა ტყეში. ნეტა რას ამბობს ის გლეხი, ხომ არაფელი გაუბედავს?

— არაფელი გამიგონია. ახლა ამბობენ, ცოლს თხოულობსო. უპასუხა ძმამ.

— აკი გითხარი, რა უნდა გაბედოს! უკეთესია მოვიდეს და ფულს მივსცემ. ვაგლახია, ასეთია, ისეთიაო. Какой чортъ, როგორ შეუძლია გაბედოს! სულს ამოვაძრობ პირში!

„ვნახოთ ვინ ვის ამოაძრობსო“, ჩაილაპარაკა სიმონამ და მოადო თოფი ხეს. როცა ტიტიკო დაუპირდაპირდა ამ ხეს, თოფმა დაიჭექა და ტიტიკო უსულოდ დაეცა მიწაზე. მშობლები, რძლები და ძმები წივილ-კივილით მისცვივდნენ ტიტიკოს. არავინ იცოდა, საიდან გამოვარდა თოფი. ამ დროს გავარდა მეორედ თოფი და ტყვიამ გააგორა დავითის მეორე ვაჟი ლევანიც. „ჯერ აგიც კმარა, სხვაი მერე“-ო დაილაპარაკა სიმონამ და მისცა ტყეს თავი.

დავითი იგლეჯდა წვერსა და ულვაშს, ცოფიანსავით დარბოდა აქით და იქით, მაგრამ მკვლელი ვერ იპოვნა.

ე. ნინოშვილი

(დასასრული იქნება)

შინვე სურვილი გამოვაცხადეთ, რომ საჭიროა ასევე მოიქცეს ჩვენის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობაცა, რადგანაც ქუთაისის გუბერნიის მემამულენი და მიწად-მომქმედნი, რომელთაც სესხი აქვთ გატანილი ბანკიდგან, საშუალებას არიან მოკლებულნი ბანკს გადასახადი აძლიონ და თავიანთს მამა-პაპეულს ადგილ-მამულს გაუძლვნენ. ჩვენი სურვილი სურვილად არ დარჩა და 30 იანვარს საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამაც შემდეგის დეპეშით მიჰმართა ბ-ნს ფინანსთა მინისტრს:

„საზღვარ-გარედ გატანის აღკრძალვამ სიმინდისამ, რომელიც ქუთაისის გუბერნიის მკვიდრთა ერთად ერთს წყაროს შეადგენს არსებობისას, ფულის მხრივ დიდი გაჭირვება ჩამოაგდო. ამის გამო ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მსესხებლებს სახსარი არა აქვთ ვადის გარდასახადი დროზედ შემოიტანონ, რადგან გაჭივრებაში არიან შთაცვივნულნი არა თუ მარტო მიწად-მომქმედნი და მემამულენი, არამედ ვაჭრებიც, რომელთაც აღებ-მიცემობის ავ-კარგიანობა სოფლის ნაწარმოების ვაჭრობაზეა დამოკიდებული. დიდძალი სიმინდი, ათ მილიონამდე, სინოტიესაგან ფუჭდება და ამის შესახებ-კი არავითარი საშუალება არ არის ნალონი, პურის „ამბარების“ გამართვაც-კი არავის დაუნახავს საჭიროდ, რადგან ჩვეულებრივ მოსავალი ზამთარის თთვეებშივე ისყიდება. ამ გვარად სიმინდის საზღვად-გარედ გატანის აღკრძალვას, გაჭირებას გარდა, შეიძლება ისიც მოჰყვეს, რომ სულ ერთიანად წახდეს ამოდენა მოსავალი.

„აქ აღნიშნულ საფუძველთა და აგრეთვე იმის გამო, რომ ქუთაისის გუბერხიიდგან სიმინდს რუსეთის შიდა გუბერნიებში არა თხოულობენ მოუსავლობით დაზარალებულთათვის და მეტად საეჭვოც არის, რომ უკვე რამდენადმე დანოტიოებული აქაური სიმინდი საპურედ გამოდგეს, ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა უმორჩილესადა სთხოვს თქვენს მაღალ-აღმატებულებას, რომ ნება დართოთ საზღვარ გარედ გაიტანონ სიმინდი“.

იმედია საქმე მარტო ამ ორის შუამდგომლობით არ დასრულდება. როგორც ნამდვილად ვიცით, ბ-ნს გუბერნიის მარშალს, თავ. ს. წერეთელს, რამდენჯერმე ჰქონია საუბარი კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან იმის თაობაზე, თუ რამდენად სჩაგრავს ხალხის ყოფა-მდგომარეობას სიმინდის საზღვარ გარედ გატანის აღკრძალვა. ბ-ნი მარშალი ამას არა სჯერდება და განუზრახავს ბ-ნს ფინანსთა მინისტრს მიჰმართოს და სთხოვოს შუადგომლობა გასწიოს, რათა სიმინდის გატანა საზღვარ გარედ ხელ ახლად ნება დართულ იქმნას. უნდა გაცნობოთ აგრეთვე, რომ ქალაქს ფოთს, რომლისთვის დიდად საზარალოა სიმინდის გატანის აღკრძალვა, უკვე მიუმართავს მთავრობისათვის შესაფერის შუადგომლობით. ყოველ ამის გამო, იქნება, ღმერთმა ინებოს და ამდენმა ჩვენმა ხვეწნა-ვედრებამ ფუჭად არ ჩაგვიაროს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „Нов. Обоз.“-ის კვირის ნომერში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ვლ. მიქელაძისა. ავტორს საგნად აუღია დღევანდელი ყოფა-ცხოვრება ჩვენის თავად-აზნაურობისა და იკვლევს იმ ღონისძიებათა, რომელთაც შეუძლიანთ დაუბრუნონ კვლავინდებური ქონებრივი ძალა და ღონე დღეს გაღარიბებულს თავად-აზნაურობას. რამდენადაც ეს საგანი არის ეგრედ-წოდებული ჟამთა სიავე ჩვენის დროისა, ჩვენი საჭირ-ბოროტო, ჩვენი ვარამი, ამას ამტკიცებს პეტერბურგის დღევანდელი დეპეშაც, რომელიც გვაუწყებს, რომ კომისიას მიანდეს პროექტის შედგენა მასზედ, თუ რა საშუალება უნდა იქმნას ნახმარი, რომ რუსეთის თავად-აზნაურობის მიწად-მფლობელობას ეშველოს როგორმე.

ბ-ნი მიქელაძე მოგვითხრობს ჩვენის თავად-აზნაურობის შესახებ, და ის ღონისძიება, რომელიც მოჰსვლია ფიქრად, სწორედ ჭკუასთან ახლოა. იგი ამბობს, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას არა აქვს საკმარისი მიწა-წყალი და მამულ-დედულიო და კარგს იზამდა მთავრობა მიეცა მათთვის თავისუფალი მიწები შავის ზღვის ნაპირებზედ, აგრეთვე ყარსისა და ბათუმი'ს ოლქებშიო, სადაც დღეს ასეა დაცემულია მეურნეობა და სადაც ახლად-გადასახლებული თავად-აზნაურობა ხელს მოჰკიდებს ხვნა-თესვას და ააყვავებს ამ კუთხეებს ჩვენის ქვეყნისასაო.

ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რასაკვირველია, რომ ეს ქვეყნები სახელმწიფოს განაპირა ქვეყნებია და რომ პირველ თოფის გავარდნის შემდეგვე იმათ უნდა გამოიარონ ყოველივე უბედურება ომისა; ასე იყო წინად და, უნდა ვიფიქროთ, რომ ასე იქნება შემდეგაც; ახალი მკვიდრნი ღირსეული დამცველნი შეიქმნებიან იმ ქვეყნებისა. მათი ნაცადი მამაცობა და მეომრობის უნარიო, ვსწერდით ჩვენ წინად, —საიმედო სიმაგრე და ციხე-დარბაზი იქნება ჩვენის მტრების საწინააღმდეგოდ, იმ მტრებისა, რომელნიც, როგორც წინად, ისე შემდეგაც ეცდებიან შავის ზღვის პირას გამოსვლას და იქ ჯარის დაბანაკებას, თოფ-იარაღისა და სურსათის საწყობთა აგებას. ოსმალეთთან წინანდელ ომების დროს ქუთაისის გუბერნიის ხალხმა ცხადად დაამტკიცა, რაოდენი სამსახური შეუძლიან გაუწიოს ამ ხალხმა სახელმწიფოს: თითქმის ქუდზედ კაცი გამოდიოდა და მზად იყო ებრძოლნა. წარსულს ომში არა ერთხელ გვინახავს დაჭრილი 16 წლის ყმაწვილი, რომელიც მოუთმენლად მოელოდდა მორჩენას, რომ კვლად წასულიყო საომრად.

### ქუხ-ზუბის

გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა

ჩვენებურ ამხანაგობათა, თუ მათ მწარმოებელთ, ისეთი ცუდი სახელი დაიმსახურეს ჩვენში, რომ უმეტეს ნაწილს მკითხველ საზოგადოებისას, იქნება არც-კი ესიამოვნოს ამ წერილის დანახვა გაზეთში ამ ნაახალწლევს. იფიქრებს, აი ეს არის დამიწყეს ლაპარაკი დანავსულ, დათარსულ ამხანაგობის შესახებ და ამ ნავსს დროს სინავსეზედ ლაპარაკი აბა ვის ესიამოვნებაო!.. მაგრამ ვინც ასე იფიქრებს ჩვენის ამხანაგობის შესახებ, ვგონებთ, შესცდება. ეს ამხანაგობა დაარსდა რვა წლის წინად, 1884 წელს, მაისში. დამაარსებელი სულ ოც-და-რვა კაცი იყო. იმავე წელს ამხანაგობას მოემატა 53 ახალი წევრი, მეორე წელს 60 წევრი, მესამე წელს—34, მეოთხე წელს—33, მეხუთეს—29, მეექვსეს—20, მეშვიდეს—22, მერვეს—40 ამხანაგი. სულ ამ რვა წლის განმავლობაში ამხანაგად გამხდარა 319 კაცი. ამათ შორის გამოაკლდა: სიკვდილით 14 კაცი და 67 წესდების დარღვევით, სულ 81 ამხანაგი; დღეს ამხანაგობაშია 219 სოფლელი, უმეტეს ნაწილად გლეხობა ($95^{0}/_{0}$).

აღებ-მიცემა ამხანაგობისა ამ რვა წლის განმავლობაში ასე მატულობს: პირველს წელს ამხანაგობის შემოსავალი იყო 4,902 მ. 61 კ., მეორე წელს—10,597 მ. 16 კ., მესამე წელს—13,488 მ. 39 კ., მეოთხე წელს—15,167 მ. 34 კ., მეხუთე წელს—19,156 მ. 66 კ., მეექვსეს—17,577 მ. 67 კ., მეშვიდეს—19,743 მ. 35 კ. და მერვეს—27,555 მ. 25 კ. ამ რვა წლის განმავლობაში ამხანაგობას მიუცია თავის წევრთათვის (დივიდენდად) წმინდა მოგება 4,610 მ. 09 კ.

ორი უკანასკნელი წელიწადია, ამხანაგობა ასესხებს თავისს წევრებს ფულს $14^{0}/_{0}$-ად. წინად-კი $12^{0}/_{0}$-ად ასესხებდა. ეს მომატება სარგებლისა გამოიწვია ფულის სიძვირემ, რადგან ამხანაგობა საჭიროებისთვის თითონვე ძვირად სესხულობს ფულს სხვათაგან. რომ მოსპობილიყო ეს ამხანაგობის ხელის შემშლელი გარემოება, ამხანაგობამ განიზრახა ისარგებლოს იმ უმაღლესად დამტკიცებულის უფლებით, რომლითაც სასოფლო ბანკებს ნება ეძლევათ ისესხონ იაფის სარგებლით სახელმწიფო ბანკის კანტორა-განყოფილებათაგან საჭირო ფული. ამ ერთის წლის მიწერ-მოწერის შემდეგ ტფილისსა, პეტერბურგსა, ქუთაისსა და ხონს შორის, საქმე იმ ზომაზედ არის მიმდგარი, რომ ამხანაგობა ელის ამ ცოტა ხანში ტფილისის განყოფილებიდან სახელმწიფო ბანკისაგან ფულის სესხების ნებართვას. როცა ამხანაგობას ეს სურვილი შეუსრულდება, რაც თქმა უნდა, ამხანაგობის საქმე კიდევ უფრო კარგად წავა.

წლიური კრება ამხანაგობისა, დასამტკიცებლად წარსულის, 1891 წლის ანგარიშისა და გასანაწილებლად წმიდა მოგებისა, ამხანაგობამ მოახდინა ხუთს იანვარს ამა წლისას... მოწვეული იყო ორასზედ მეტი ამხანაგი, რომელთაგან, მიუხედავად ერთობ ცუდის ტაროსისა, კრებას დაესწრო ასზედ მეტი წევრი. კრებამ მოისმინა სხვათა შორის, რომ ამ ერთის წლის განმავლობაში ამხანაგობის წილის ფულს მოჰმატებია 1,105 მ. 68 კ., რომელიც მანამდის შემოსავლიანად შეადგენს 6,017 მ. 18 კ., ამ თავის ფულს გარდა, ამხანაგობასა აქვს მობარებული ფული 4,808 მ. 38 კ., ნასესხი—200 მანეთი, სათადარიგო თანხა—343 მ. 45 კ., წინა წლის მოგებაც, ამხანაგთაგან დროებით დატოვებული („გადასვლითი“) 216 მ. 20 კ. და წმინდა მოგება საანგარიშო წლისა 906 მ. 34 კ. სულ პირველ იანვრისათვის მდგომარე წლისა ამხანაგობის განკარგულებაშია თავისი და სხვისი 12,491 მ. 55 კ. ამ ფულიდგან სესხად ამხანაგებზედ გაცემულია 11,904 მ. 47 კ., ნაღდ ფულად კასაში 199 მ. 58 კ., მომგებიან ბილეთად 245 მან., ქონებად 142 მ. 50 კ.

წმინდა მოგება საანგარიშო წლისა 906 მ. 34 კ. კრებამ ასე გაანაწილა: 90 მ. გადასდო სათადარიგო თანხად, 793 მ. 35 კ. დივიდენდად ($15^{0}/_{0}$), 11 მ. 99 კ. რჩევის წევრთა ჯილდოდ, 6 მანეთი პეტერბურგელ კომიტეტის სასარგებლოდ და 5 მანეთიც საგამგეობო ოთახის მოსართავად.

კრებამ გამგეობის რჩევით დაადგინა, მომავალ გაზაფხულიდგან ეწამლოს ამხანაგთა ვენახებს მილდიუსაგან. ამ სურვილის მისაღწევად ამხანაგობამ უნდა შეიძინოს ათი, ან რამდენიც საჭირო იქნება, მაშინა ვერმორელისა და ჭურჭლები წამლის დასაყენად, იქონიოს გასასყიდად შაბიანი და კირი. გამგეობამ და ზოგად მმართველობამ ამხანაგობისამ იკისრა აჩვენოს ამხანაგებს, თუ როგორ უნდა მომზადდეს წამალი და ესხუროს ვენახებს. ფასი ვერმორელის მანქანებისა და ჭურჭლისა უნდა განაღდებულ იქმნას ამხანაგობის წმინდა მოგებიდამ ათის წლის განმავლობაში. ამხანაგებს დიდი იმედი მიეცათ და ჰგონებენ უშველონ თავიანთს ვენახებს, რომლებიც შარშან ერთობ დაზიანა მილდიუმ.

ნ. წერეთელი

## რუსეთი

გუშინწინდელს ნომერში მკითხველებს ვაუწყეთ შინაარსი გრაფის ლ. ტოლსტოის წერილისა. აი დანარჩენი აზრები იმავე წერილისა სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნილი.

„მდიდარსა, მოხელესა, მემამულესა, ვაჭარსა, აფიცერსა, სწავლულსა, მხატვარსა და გლეხს შორის სხვა კავშარი არა არსებობს-რა, გარდა შემდეგისა: გლეხი, არა მარტო ესა თუ ის გლეხი, არამედ გლეხნი ყველანი ერთიანად, მუშები ანუ, როგორც ინგლისელები ეძახიან, მუშა ხელნი არიან, რომელნიც ჩვენ იმიტომ გვესაჭიროებიან, რომ ჩვენ მაგიერად უნდა იმუშაონ.

ზრუნვა უპირატესობა-მინიჭებულ საზოგადოებათა ხალხის დასახმარებლად სიმშილის დროს სწორედ იგივეა, რაც საქმე „წითელის ჯვრის“ საზოგადოებისა, რომელსაც აზრად და საგნად ისა აქვს, რომ ომის დროს დაჭრილთ ტანჯვა შეუმსუბუქოს. ერთი ნაწილი ხალხისა ომის დროს იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტი ხალხი დავხოცოთო, და ამავე დროს თითქო დამატებად ხსენებულ საქმისა იმართება საზოგადოება სარჩენად სასიკვდილოდ განწირულთა. ის-კი უკეთესი იქნება, რომ ყველამ ერთად თავი დავანებოთ ხალხის რბევასა და მტაცებელსავით არა ვნთქათ ყოველივე ნაწარმოები ხალხისა, თორემ ეხლა დროებით, ერთის წუთით, შევგვიჩერებია სრა-რბევა, აგვიპყრია ზეცისკენ თვალები, წავგვიგძელებია კისრები და გავიძახით, ჩვენ მხოლოდ ხალხის კეთილ-დღეობის მოსურნენი და მოწადინენი ვართო.

არა თუ მარტო აუარებელი რიცხვი ქარხნების მუშებისა, რომელნიც სიქას იცლიან, იღუპებიან უღვთო და უზნეო შრომით ზარმაც მდიდართა სასიამოვნოდ, არამედ მიწად-მომქმედნიც, ყველანი თუ არა, უმრავლესობა მაინც, რომელსაც საკმაო მიწა არ მოეპოება საცხოვრებლად, ადრე თუ მალე იძულებულნი შეიქმნებიან ძლიერ სამძიმო შრომას მოჰკიდონ ხელი და ფიზიკურადაცა და ზნეობითაც დაუძლურდნენ. ხოლო ყოველივე ეს იმიტომ უნდა მოხდეს, რომ ბატონებმა უკეთესად იმხიარულონ და იდიდრაჯონ.

სამწუხაროა, მაგრამ ჭეშმარიტი და უტყუარი ამბავი-კია ის ამბავი, რომ მთელი მიწად-მომქმედი ხალხი რუსეთისა იშხამება არაყის სმით და იყვლიფება ვაჭრების ხელით მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთთა პირადი ანგარება დაკმაყოფილებულ იქნას. შედეგი ყოველისავე ამისა ისაა, რომ ხალხი თანდათან ფიზიკურად უძლურდება და ბავშვებიც აუარებელი იხოცება. დედა-კაცნი და მამა-კაცნი ჯანით ძაბუნდებიან, —ხოლო ბავშვებსაც ათასობით ჰხოცავენ—რათა ფულის პატრონებს, დიდრაჯებს და ვაჭრებს შეეძლოთ ფუფუნებითა და უზრუნველად ცხოვრება და განცხრომა—რათა შეეძლოთ ყელთამდე ავსება სხვა-და-სხვა გვარის სიამოვნებითა, სასახლეების გადაჭიმვა, კონცერტებისა, მუსიკის, ოპერების მოსმენა და სხვ.

ტყუილს ნუ ვიკადრებთ. ხალხისათვის იმიტომ ვზრუნავთ, რომ ეს ხალხი ღონისძიებად გამოვიყენოთ დ ხიად გავიხადოთ სიამოვნების მისაღწევად.

„რაც მეტს ჯამაგირსა და პენსიას ვიღებ (ე. ი. რაც უფრო მეტი ერთმევა ხალხსა), ის მირჩევნიანო“—ამბობს მოხელე.

„რაც უფრო ძვირად მივყიდი პურსა და სხვა სალეველს ხალხსა (ე. ი. რაც უფრო ძლიერ შევაწუხებ), ჩემთვის ის უფრო სახეიროაო“—ამბობს ვაჭარი.

„რაც უფრო იაფად ვამუშავებ ხალხს (ე. ი. რაც უფრო გაღარიბდება ხალხი), მით უმეტესს სიმდიდრეს შევიძენო“—ფიქრობს და ამბობს მდიდარი.

აბა ამ გვარის გრძნობით გალატაკებულსა და დაუძლურებულს ნიადაგზე რაღა სიყვარული უნდა აღორძინდეს ხალხისადმი? ავიღოთ თუნდა მაგალითი. ამ ჟამად ხალხი სიმშილით სწორედ რომ იხოცება, გამოიჩინეს განა მდიდრებმა სიყვარული მოყვასისადმი შესაფერად? შესცვალეს იოტის ოდენადაც არის თავიანთი მდიდრული ცხოვრება? განა დაანებეს თავი თავიანთ სახლების მდიდრულად მორთვა-მოწყობასა? განა თავი შეიკავეს და აღარ მართავენ მეჯლისებს, აღარ დასეირნობენ ძვირფასის ცხენებით, რომლის ფასიც მთელს სოფელს გამოჰკვებავს? ნუ თუ აღარა ჰხარჯავენ ფულებს ამ მონების (დედანში „ილოტი“) სისხლით შეძენილსა.

ეგ-კი არა, ამ ჟამად მდიდრებმა და შეძლებულებმა თავიანთი პური ბეღლებში დაჰკეტეს და ელიან, აცა ფასი როდის მოემატება, რომ მაშინ გავყიდოთო.

ამ წერილის გარდა გრაფმა ლ. ტოლსტოიმ სხვა წერილიც დაჰბეჭდა ამაზედ უფრო უცნაური. „შეგნებული აქვთ, თუ არა—ამბობს ტოლსტოი—ჩვენს გლეხებს თავისი ყოფა-მდგომარეობა, რომ თუ თითონ არ გამოიღვიძეს და არა ილონეს-რა, სხვა არავინ არის უშველის და გაზაფხულზე ერთბაშად ისე ამოიხოცებიან, როგორც თაფლ-გამოლეულს სკაში ფუტკარი.“

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

რა ვცანით თქვენის გაზეთის საშუალებით განწირული მდგომარეობა ჩვენის ნიჭიერის ალექსანდრე ყაზბეგისა, პატივის მცემელნი იმის ნიჭისა შეუდგნენ ფულის შეკრებას დაბა ცხინვალში. თავად დავით მაჩაბლის და მიხეილ მაჭავარიანის დახმარებით შეკრებილ იქმნა 26 მ. 85 კ. რომელსაც გიგზავნით; გთხოვთ ეს წვლილიც იმის ფონდს მიუმატოთ და ამასთანავე შემომწირველთა სიაც თქვენს გაზეთში გამოაცხადოთ, აი სიაც: მიხეილ დავითის ძე მაჭავარიანი 1 მ., სიმონ სოლომონის ძე ფავლენოვი 40 კ., ი—ნ ხ—ვი 1 მ., ნიკო კორინთელი 40 კ., დიმიტრი ჯაოშვილი 62 კ., თ. ვასილ იოსების ძე ფავლენოვი 2 მ., ივანე ზურაბის ძე მაჩაბელი 50 კ., თ. ვანო მიხეილის ძე მაჩაბელი (ქურთელი) 1 მ., ელიზბარ ოვანოვი 1 მ., თ-ი დათიკო მაჩაბელი 1 მ., თ-ი აბესალომ მაჩაბელი 1 მ., იაკობ ნადირაძე 1 მ., იესე ფავლენიშვილი 1 მ., თ-ი მიხეილ ივანეს ძე მაჩაბელი 50 კ., ივანე ელიოზოვი 1 მ., ნატალია შაკლოხოვისა 50 კ., ვასილ დიმიტრის ძე ფავლენოვი 50 კ., ვასო შერმაზანოვი 25 კ., ალექსანდრე გრიგოლის ძე დავითიშვილი 1 მ., ელენე ანტონუვსკისა 50 კ., საჩინო თაქთაქოვი 40 კ., თ-ი ზაქარია ფავლენოვი 1 მ., თ-ი ნიკო ხერხეულიძე 50 კ., თ-ი ილია ფავლენოვი 50 კ., ივანე ფავლენოვი 40 კ., იასე თაქთაქოვი 40 კ., შაქრო მაჩაბლის შვილები: ირაკლი, თამარი და სოფიო 1 მ., ნიკო ელიას ძე ციციანოვი 1 მ., ნიკო მაჩაბელი 50 კ.,—მზარეულოვი 1 მ., დარია ცერაძისა 50 კ., მაშო წინამძღვაროვისა 50 კ., სხვა-და-სხვათაგან 98 კ., და სულ 24 მ., 85 კ., ქ. ყურულისა 2 მანეთი სულ 26 მანეთი 85 კაპ.

---

### II

გიგზავნით ჩემ მიერ მეკრებილს შვიდს მანეთს გარდაცვალებულის ისტორიკოსის ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ. უმორჩილესად გთხოვთ შემომწირველთა სია დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში.

ილია ციციშვილმა 1 მან., დ. ა. ციციშვილმა 1 მან., დ. ს. ციციშვილმა 1 მან., გ. გ. ციციშვილმა 1 მან., ი. ქ. ზანდუკელმა 1 მან., ნიკო ფარცხალაძემ 1 მან., მ. გ. მცხვედაძემ 1 მან., სულ 7 მანეთი

მიხეილ გრიგოლის ძე მცხვედაძე.

ქართლი.

---

## დეპეშა

2 თებერვალი

**პეტერბურგი.** 28—31 იანვარს განსაკუთრებულმა კომიტეტმა შეწირულება მიიღო 160,000 მანათამდე. აქედამ 100,000 ბუქარის ემირმა შესწირა, 30,000 ხერსონის საერობო ბანკმა და 10,889 მ. შემოსავალია კანნაში (საფრანგეთში) ქალების მიერ გამართულის დღესასწაულისა.

გენერალ-მაიორი თავადი კანტაკუზენი სამხედრო აგენტად იქმნა დანიშნული ათინაში.

„Новое Время“ იუწყება, სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გადასწყვიტა, ზაფხულზე ექსპედიცია გაგზავნოს დამშეულს გუბერნიებში ადგილობრივ მეურნების ვითარების შესასწავლად, რათა ღონის-ძიებანი აღმოაჩინონ შემდეგისათვის ამ გვარ უბედურებათა თავიდგან ასაცილებლად.

„Петер. Вѣд“ იუწყება, კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს თავად-აზნაურთა მიწად-მფლობელობის დასახმარებლად ღონის-ძიებათა პროექტის შემუშავება, დაწვრილებითს ცნობებს ჰკრებს ბანკში დაგირავებულ მამულების შესახებ. კომისიაში მიწვეულნი არიან თავად-აზნაურთა წინამძღოლნი რამდენისამე გუბერნიისა და სხვანიც.

გუშინ პეტერბურგში გარდაიცვალა ცნობილი მოგზაური აფრიკაში ვ. იუნკერი.

**სამარყანდი.** გუშინ მოვიდნენ ფრანგი მოგზაურები გრაფ დარმონი და ლეიტენანტი ვილნევი. სტუმრებს მიეგებნენ აფიცრები და ჯარის უფროსი გრაფი როსტოვცევი.

სალამოზე სამხედროთა საკრებულოში მეჯლისი გაიმართა და მრავალი სადღეგრძელო წარმოსთქვეს.

**კალკუტა.** გუშინ ქალაქს ალიპურში 400 ადგილობრივ მცხოვრებთაგანი ჯარის კაცი შეიყარა ჰაეროსტატის აშვების საცქერლად. როცა უთხრეს განზე იყავითო, ჯარის კაცებმა ლანძლვა დაუწყეს, შემდეგ დასრჩეს რამდენიმე ედგილობრივი მცხოვრები და ევროპიელნიც. საყვირი დაუკრეს ჯარის განსაწყობად და ამითი აღადგინეს წესიერება.

2 თებერვალი

**პეტერბურგი.** შემდეგი პირველ საქველ-მოქმედო ლაატარიის ბილეთებისა, რომელთაც ათას მანეთიანი მოგება ჰხვდათ:

| | | | |
|---|---|---|---|
| 8958 | 43 | 5658 | 33 |
| 3994 | 31 | 7317 | 86 |
| 7278 | 27 | 10830 | 9 |
| 7210 | 78 | 10576 | 18 |
| 1082 | 84 | 3243 | 62 |
| 292 | 62 | 9685 | 48 |
| 444 | 11 | 7683 | 39 |
| 4176 | 78 | 2591 | 83 |
| 3621 | 27 | 7563 | 21 |
| 6297 | 60 | 5533 | 76 |
| 11774 | 33 | 4145 | 92 |
| 7932 | 32 | 10598 | 41 |
| 9086 | 97 | 8120 | 65 |
| 5369 | 26 | 4174 | 63 |
| 4726 | 27 | 157 | 67 |
| 5100 | 24 | 10926 | 54 |
| 5344 | 76 | 6745 | 85 |
| 2775 | 57 | 6434 | 3 |
| 1305 | 63 | 4826 | 59 |
| 3127 | 86 | 10338 | 99 |
| 5059 | 5 | 10168 | 25 |
| 3005 | 54 | 2586 | 17 |
| 5155 | 64 | 2922 | 4 |
| 7810 | 99 | 1598 | 86 |
| 1015 | 45 | 9545 | 54 |
| 11580 | 76 | 274 | 82 |
| 10584 | 91 | 7524 | 91 |
| 10034 | 16 | 1934 | 40 |
| 6635 | 83 | 7212 | 18 |
| 1030 | 31 | 11270 | 77 |
| 1749 | 89 | | |

500 და 250 მანეთიანის ნომრები შემდეგ.

### პეტერბურგის ბირჟა, 31 იანვარი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 12 | 8, 15 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 162 1/4 | 162 3/4 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 17 | 1, 19 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 236 |
| —მეორისა . . . . | 226 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 198 | — „ | 200 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . . | 102 1/4 | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102 1/4 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 | — „ | — „ |

---

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

---

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. სალ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. სალ.
„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. სალ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. სალ.
განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

---

## განცხადებანი


სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს სადგომში

5 თებერვალს 1892 წლისა, სალამოს 8 საათზე, ვაჭრობა მოხდება (განუმეორებლად) იჯარით გასაცემად იმ უძრავ ქონებისა, რომელიც შესწირა განსვენებულმა არუთინ ოქოევმა და რომელიც რიყის ქუჩაზეა, № 46.

პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა, დილის 10—12 საათამდე. (2—1)

# ი. ალოიზი და ამხ.

აბრეშუმის ჭიის მოსაშენებელი სახლი მოლტიფაოში, კორსიკას (საფრანგეთში)

ვისაც ჰსურს ალოიზის ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლის შეძენა, უმორჩილესად ვთხოვთ, მიმართონ კავკასიის **სამეურნეო საზოგადოებასა და აბრეშუმის ჭიის სადგომს ტფილისში.**

ბევრის მსყიდველთ მიმართონ წევრს სამეურნეო საზოგადოებისას, ბ-ნს ვ. სულხანიშვილს, ტფილისში, კუკია, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, № 39.

აბრეშუმის ჭიის თესლი ბ-ნ ალოიზისა ყუთებში არის, თითოში 1, 3, 5 და 10 მისხალი. ერთი მისხალი ღირს სამი აბაზი.

ამ აბრეშუმის თესლის სიკეთის თავმდებია ის გარემოება, რომ 1890 წელს მისი პატრონი დაჯილდოვებულ იქმნა საპატიო დიპლომით და დღეს კიდევ ითვლება ოფიციალურად თურქესტანისათვის ამ თესლის მხოლოობით მიმყიდველად (16—8)

ი. ალოიზი

---

## ქ. ოზურგეთში

**ესმა გიორგის ასული ქიქოძე,** რომელსაც **ტფილისის სახელოსნო გამგეობისაგან** თავის ხელობის რიგიანად ცოდნის შესახებ ატესტატი აქვს, მსურველთ ასწავლის ჭრა-კერვასა და ყოველსავე ხელობას, რაც-კი ქალის ტანისამოსის შეკერვას შეეხება. შეგირდებს იღებს **სამის თთვის ვადით** იმ პირობით, რომ ზემო თქმული ხელობა ამ ხნის განმავლობაში სრულიად დაასწავლოს. სასყიდლად სამისავე თთვისათვის მხოლოდ **ოცს** მანეთს სჯერდება.

ამასთანავე შესაძლოა ქალის ტანისამოსის შესაკერავად მასვე მიჰმართონ. ყოველსავე შეკვეთას ზომიერ ფასად და დროზე ასრულებს. (6—4)

---

### გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

# ზ ა დ ი გ ი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.

---

### საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | „ . . . . | 9 „ 50 „ | 5 | „ . . . . | 5 „ 50 „ |
| 10 | „ . . . . | 8 „ 75 „ | 4 | „ . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 | „ . . . . | 8 „ — „ | 3 | „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . . | 7 „ 25 „ | 2 | „ . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 | „ . . . . | 6 „ 50 „ | 1 | „ . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 3-го Февраля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.